საქართველოს მთავრობის განკარგულება

№827 2015 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არძანისათვის“ იჯარის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ შპს „არძანს“ (საიდენტიფიკაციო კოდი №203840709) იჯარის უფლებით გადასცეს ქალაქ თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირზე №82-ში მდებარე 23077 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობები: №1 – 5511.08 კვ.მ; №2 – 2393.92 კვ.მ; №3 – 9864.53 კვ.მ; №4 – 995.78 კვ.მ; №5 – 1789.32 კვ.მ; №6 – 140.79 კვ.მ; №7 – 564.53 კვ.მ; №8 – 209.39 კვ.მ; №9 – 11.3 კვ.მ; №10 – 73.78 კვ.მ; №11 – 31.54 კვ.მ; ნაგებობა №12 (აუზი) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – №01.14.10.001.073) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) წლის ვადით.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების იჯარის უფლებით გადაცემის პირობებად განისაზღვროს პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით:

ა) საიჯარო ქირის გადახდა ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით;

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების ან/და მისი ნაწილის რემონტი (მათ შორის: შეკეთება და აღჭურვა) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულების მიზნით, არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში;

დ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) წლის განმავლობაში ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების საგანმანათლებლო პროფილით ფუნქციონირება.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი

პერიოდი შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან	ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა
შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1- ლი და მე-2 წელი	500 000 (ხუთასი ათასი) ლარი
შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების მე-3-დან მე-20 წლის ჩათვლით	709 076 (შვიდას ცხრა ათას სამოცდათექვსმეტი) ლარი